

როგორ მოვემზადოთ ერთიანი ეროვნული  
გამოცდებისათვის

ისტორია

თბილისი

2021

## შესავალი

კრებული შედგენილია მათთვის, ვინც 2021 წელს ისტორიაში ერთიან ეროვნულ გამოცდას აბარებს. კრებულში მოცემულია ერთიანი ეროვნული გამოცდების ისტორიის ტესტის მოთხოვნები, საგამოცდო პროგრამა, ტესტურ დავალებათა აღწერილობა და ინსტრუქციები, ასევე აბიტურიენტების მიერ დაშვებული ტიპური შეცდომები, მათი ანალიზი, რეკომენდაციები და 2020 წლის საგამოცდო ტესტის ნიმუში.

აბიტურიენტებმა ყურადღებით უნდა წაიკითხონ თითოეული ტესტური დავალების აღწერილობა, მაქსიმალური სიზუსტით დაიცვან დავალებების სწორად შესრულების ტექნიკური და შინაარსობრივი მოთხოვნები.

ვიმედოვნებთ, ეს კრებული დაგეხმარებათ საფუძვლიანად მოემზადოთ 2021 წლის მისაღები გამოცდებისათვის.

საგამოცდო ტესტში არ განმეორდება ამ კრებულში მოცემული არც ერთი დავალება.

გისურვებთ წარმატებას!

საგამოცდო კრებული წარმოადგენს „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ საკუთრებას და დაცულია საქართველოს კანონით - „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“. „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ ნებართვის გარეშე დაუშვებელია ტექსტში რაიმე ცვლილების შეტანა, მისი რეპროდუქცია, თარგმნა და სხვა საშუალებებით (როგორც ბეჭდვითი, ასევე ელექტრონული ფორმით) გავრცელება, აგრეთვე იკრძალება საგამოცდო კრებულის გამოყენება კომერციული მიზნებისათვის.

## ერთიანი ეროვნული გამოცდების ისტორიის ტესტის მოთხოვნები

ერთიანი ეროვნული გამოცდების ისტორიის ტესტის საგამოცდო პროგრამა ეყრდნობა ეროვნულ სასწავლო გეგმას და მოიცავს მსოფლიო და საქართველოს ისტორიის საკითხებს უძველესი დროიდან XX საუკუნის ჩათვლით. საქართველოს ისტორია განხილულია არა დამოუკიდებლად, არამედ მსოფლიო ისტორიის კონტექსტში, მსოფლიო ისტორიაში მიმდინარე პროცესების ჭრილში. ისტორიის ტესტი ამოწმებს როგორც ფაქტობრივ ცოდნას და მისი გამოყენების უნარს, არამედ ისეთ მაღალ სააზროვნო უნარებს, როგორცაა: კრიტიკული აზროვნება, არგუმენტირებული მსჯელობა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა, ისტორიულ პროცესებს შორის მიმართების დადგენა, პრობლემის გააზრება, ანალიზი და შეფასება.

*ერთიანი ეროვნული გამოცდების ისტორიის ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.*

*ტესტის ხანგრძლივობა განისაზღვრება 2 საათითა და 40 წუთით.*

2021 წლის ერთიანი ეროვნული საგამოცდო პროგრამა ისტორიაში

საგამოცდო საკითხთა ჩამონათვალი	საკითხთა დეტალიზებული ჩამონათვალი (დაზუსტება)
1) პრეისტორიული ეპოქა	პირველყოფილი საზოგადოება (ქვის ხანა, ბრინჯაოს ხანა)
2) ძველი აღმოსავლეთი და საქართველო	ძველი ეგვიპტე (სახელმწიფოს წარმოქმნა, საშინაო და საგარეო პოლიტიკა, რელიგია); შუმერი, ბაბილონი (სახელმწიფოს წარმოქმნა, საშინაო და საგარეო პოლიტიკა, რელიგია); ასურეთი, ხეთები, ურარტუ (სახელმწიფოების წარმოქმნა, საშინაო და საგარეო პოლიტიკა); ფინიკიური ქალაქ-სახელმწიფოები და ფინიკიური კოლონიზაცია; დიაოხი და კოლხა; აქემენიანთა ირანი (სახელმწიფოს წარმოქმნა, საშინაო და საგარეო პოლიტიკა, რელიგია, აქემენიანები და ქართული სამყარო).
3) ძველი საბერძნეთი, ძველი რომი და საქართველო	ძველი საბერძნეთი (ათენი, სპარტა, ბერძნული კოლონიზაცია, ბერძენ-სპარსელთა ომები, პელოპონესის ომი); მაკედონიის სამეფო: ფილიპე II (საშინაო და საგარეო პოლიტიკა); ალექსანდრე მაკედონელი, ელინიზმი და ელინისტური სახელმწიფოები; ქართული სახელმწიფოები ელინისტურ ხანაში (კოლხეთი, ქართლი); ძველი რომი: რომის სამეფო; რომის რესპუბლიკა; რომის იმპერია (საშინაო და საგარეო პოლიტიკა, რელიგია); რომი და საქართველო (პომპეუსის ლაშქრობა, ურთიერთობა I-II საუკუნეებში).
4) მსოფლიო და საქართველო III-X საუკუნეებში	ევროპა IV-V საუკუნეებში (ხალხთა დიდი გადასახლება, რომის იმპერიის ორად გაყოფა, დასავლეთ რომის იმპერიის დაცემა, ბარბაროსული სამეფოების ჩამოყალიბება);

	<p>ქრისტიანობა (წარმოშობა, გავრცელება, I, IV და VII მსოფლიო საეკლესიო კრებები)  ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში ვახტანგ გორგასალი (საშინაო და საგარეო პოლიტიკა);  ბიზანტია (სახელმწიფოს ჩამოყალიბება; საშინაო და საგარეო პოლიტიკა);  სასანიანთა ირანი (სახელმწიფოს ჩამოყალიბება; საშინაო და საგარეო პოლიტიკა);  მეფობის გაუქმება ქართლში, დიდი ომიანობა;  ერისმთავრობის დაწესება ქართლში;  პაპობა, პაპის ოლქის ჩამოყალიბება;  კარლოს დიდი, ფრანკთა იმპერია (საშინაო და საგარეო პოლიტიკა), იმპერიის დაშლა;  არაბები და მათი დაპყრობები; ისლამის წარმოქმნა და გავრცელება; არაბთა სახალიფო (სახელმწიფოს ჩამოყალიბება, საშინაო და საგარეო პოლიტიკა, კულტურა);  არაბთა ბატონობა საქართველოში;  ქართული სამეფო-სამთავროები VIII-X საუკუნეებში.</p>
<p>5) მსოფლიო და საქართველო X-XV საუკუნეებში</p>	<p>საღვთო რომის იმპერია (სახელმწიფოს ჩამოყალიბება, საშინაო და საგარეო პოლიტიკა);  პაპობა, ბრძოლა ინვესტიტურისათვის;  საქართველო X საუკუნის ბოლოსა და XI საუკუნეში;  სელჩუკები (სასულთნოს ჩამოყალიბება, დაპყრობები, საშინაო და საგარეო პოლიტიკა), სელჩუკები და საქართველო;  დავით აღმაშენებელი, დემეტრე I, გიორგი III, თამარ მეფე;  ჯვაროსნული ლაშქრობები (მიზეზები, I-IV ლაშქრობები, შედეგები, რაინდული ორდენები);  მონღოლთა სახელმწიფო (დაპყრობები, მონღოლთა სახელმწიფოების საშინაო და საგარეო პოლიტიკა);  საქართველო XIII-XV საუკუნეებში (ჯალალ ედ-დინის ლაშქრობები, მონღოლთა</p>

	<p>ბატონობა საქართველოში, გიორგი ბრწყინვალე, თემურ-ლენგის ლაშქრობები, საქართველოს დაშლა სამეფო-სამთავროებად);  ოსმალთა სახელმწიფო (ჩამოყალიბება; საშინაო და საგარეო პოლიტიკა);  ბიზანტიის დაცემა და მისი მნიშვნელობა;  ანტიოსმალური კოალიციის შექმნის მცდელობები და საქართველო;  წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოები ევროპაში: (კორტესები ესპანეთში, „თავისუფლების დიდი ქარტია“ და პარლამენტი ინგლისში, ლანდტაგები გერმანულ სახელმწიფოებში, გენერალური შტატები - საფრანგეთში;  უნივერსიტეტების ხანა ევროპაში.</p>
<p><b>6) მსოფლიო და საქართველო XV-XVII საუკუნეებში</b></p>	<p>აღორძინება და ჰუმანიზმი (ძირითადი მახასიათებლები);  დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები (მიზეზები, ექსპედიციები, შედეგები);  ლუთერი და რეფორმაცია გერმანიაში, რეფორმაცია ინგლისში;  კონტრეფორმაცია;  რელიგიური ომები ევროპაში;  კათოლიკე მისიონერები და საქართველო;  ნიდერლანდების რევოლუცია;  ინგლისი XVII საუკუნეში (მეფისა და პარლამენტის დაპირისპირება, სამოქალაქო ომი, კრომველის მმართველობა);  აბსოლუტიზმი საფრანგეთში (რიშელიე, ლუი XIII, ლუი XIV);  მოსკოვის სამთავროს ჩამოყალიბება; ივანე IV-ის საშინაო და საგარეო პოლიტიკა;  რეპოსპოლიტა;  ოსმალეთის გაძლიერება (სულეიმან I, ლეპანტოს ბრძოლა, ოსმალეთი XVII ს-ის 80-90-იან წლებში);  სეფიანთა სახელმწიფო (ჩამოყალიბება, შაჰი აბას I, ირან-ოსმალეთის ომები);  საქართველო XVI-XVII სს-ში (ბრძოლა ოსმალეთისა და სეფიანთა ირანის წინააღმდეგ).</p>

<p>7) მსოფლიო და საქართველო XVIII საუკუნეში</p>	<p>პეტრე I (საშინაო და საგარეო პოლიტიკა); ვახტანგ VI (საშინაო და საგარეო პოლიტიკა, კულტურულ - საგანმანათლებლო მოღვაწეობა); საქართველო XVIII საუკუნის II ნახევარში (თეიმურაზ II, ერეკლე II, სოლომონ I); ჩრდილოეთ ამერიკის კოლონიზაცია, აშშ-ს შექმნა (დამოუკიდებლობისათვის ომი, აშშ-ს შექმნა); განმანათლებლობა; განმანათლებლების იდეების გავლენა საქართველოზე; საფრანგეთის რევოლუცია (გენერალური შტატების მოწვევა, ბასტილიის აღება, საფრანგეთი ეროვნული კრების მოღვაწეობის პერიოდში, კონვენტი, 1791 წლის კონსტიტუცია, იაკობინელთა მმართველობა, თერმიდორული გადატრიალება, დირექტორია).</p>
<p>8) ნაპოლეონის ეპოქა და ვენის კონგრესი</p>	<p>18 ბრიუმერის გადატრიალება; კონსულობა; პირველი იმპერია (ტრაფალგარისა და აუსტერლიცის ბრძოლები, კონტინენტური ბლოკადა, ლაშქრობა რუსეთში, ლაიპციგისა და ვატერლოოს ბრძოლები); ვენის კონგრესი.</p>
<p>9) საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში</p>	<p>რუსეთის მიერ ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების დაპყრობა; აჯანყებები საქართველოში ცარიზმის წინააღმდეგ XIX საუკუნის პირველ მესამედში; საქართველო მეფისნაცვლობის პერიოდში ალექსანდრე II-ის რეფორმები; რუსეთ-თურქეთის ომები და საქართველო.</p>
<p>10) რევოლუციები, სამოქალაქო ომები და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობები XIX ს-სა და XX ს-ის დასაწყისში</p>	<p>რევოლუციები ევროპაში XIX საუკუნეში; ილია ჭავჭავაძისა და თერგდალეულების მოღვაწეობა; გერმანიის გაერთიანება; იტალიის გაერთიანება; სამოქალაქო ომი აშშ-ში.</p>
<p>11) პირველი მსოფლიო ომი და პარიზის სამშვიდობო კონფერენცია</p>	<p>სამხედრო ბლოკების შექმნა და ომის გამომწვევი მიზეზები; ომის მიმდინარეობა და ომის შედეგები;</p>

	<p>პარიზის კონფერენცია და მისი მნიშვნელობა, ერთა ლიგა; რევოლუციები რუსეთში და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება.</p>
<p>12) საქართველო და მსოფლიო პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდში</p>	<p>საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკა; საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს პირველი რესპუბლიკის ოკუპაცია; საბჭოთა კავშირის შექმნა; საბჭოთა კავშირი 20-30-იან წლებში და საქართველო მის შემადგენლობაში; იტალია და გერმანია 20-30-იან წლებში; სამოქალაქო ომი ესპანეთში; „დიდი დეპრესია“; „დაშოშმინების პოლიტიკა“.</p>
<p>13) მეორე მსოფლიო ომი</p>	<p>მეორე მსოფლიო ომის წინაპირობები; მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი; გერმანიის თავდასხმა პოლონეთზე; სსრკ-ს მიერ ბალტიის რესპუბლიკებისა და დასავლეთ უკრაინის ოკუპაცია; სსრკ- ფინეთის ომი; „უცნაური ომი“; იაპონიის თავდასხმა პერლ-ჰარბორზე; გერმანიის თავდასხმა სსრკ-ზე და სამხედრო ოპერაციები გერმანია-სსრკ-ს ფრონტზე; სამხედრო ოპერაციები აფრიკაში; ქართველები მეორე მსოფლიო ომში; ოპერაცია „ოვერლორდი“ თეირანის, იალტისა და პოტსდამის კონფერენციები; გერმანიისა და იაპონიის კაპიტულაცია.</p>
<p>14) საქართველო და მსოფლიო „ცივი ომის“ ეპოქაში</p>	<p>„ცივი ომი“ და მისი მიზეზები; კორეისა და ვიეტნამის ომები, „კარიბის კრიზისი“; NATO-სა და „ვარშავის ხელშეკრულების“ ბლოკის შექმნა; ანტისაბჭოთა გამოსვლები 1956 წელს უნგრეთსა და 1968 წელს ჩეხოსლოვაკიაში, 1956 წლის 9 მარტისა და 1989 წლის 9 აპრილის მოვლენები საქართველოში; ჰელსინკის შეთანხმება;</p>



<p>15) აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ბანაკისა და სსრკ-ის დაშლა; საქართველო XX საუკუნის მიწურულს</p>	<p>აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ბანაკისა და სსრკ-ის დაშლა; 1990 წლის არჩევნები საქართველოში, დამოუკიდებლობის აღდგენა 1991 წლის 9 აპრილს.</p>
---	---

## ტესტურ დავალებათა აღწერილობა და ინსტრუქციები

### დავალები I ტიპი

#### ○ დახურული დავალება

**დავალების აღწერა და ინსტრუქცია:** დავალებაში დასმულია კითხვა, რომელსაც ოთხი სავარაუდო პასუხი ახლავს. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. პასუხების ფურცელში უნდა გადახაზოთ არჩეული პასუხის შესაბამისი უჯრა.

**მოწმდება:** ფაქტობრივი მასალის ცოდნა და მისი გამოყენების უნარი; ისტორიული მოვლენებისა და პროცესების დამახასიათებელი, არსებითი ნიშნების გამოვლენის უნარი; ისტორიული მოვლენებისა და პროცესების მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოვლენის უნარი.

**შეფასება:** თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

ნიმუში იხილეთ 2020 წლის თანდართული ტესტში

### დავალების II ტიპი

#### ○ ქრონოლოგიის განსაზღვრა

**დავალების აღწერა და ინსტრუქცია:** დავალებაში მოცემული ჩამონათვალი (ისტორიული პიროვნებების ან მოვლენების, ფაქტების) უნდა დალაგდეს ქრონოლოგიური პრინციპით, უძველესიდან უახლესისაკენ. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელში მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის ან პიროვნების შესაბამისი ციფრი.

**მოწმდება:** ფაქტობრივი მასალის ცოდნა და მისი გამოყენების უნარი; ისტორიულ დროში ორიენტაციის უნარი.

**შეფასება:** თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

ნიმუში იხილეთ 2020 წლის თანდართული ტესტში

### დავალების III ტიპი

- **ორი სხვადასხვა ტიპის ისტორიული წყაროს ანალიზი**

**დავალების აღწერა და ინსტრუქცია:** მოცემულია ერთი კონკრეტული ისტორიული მოვლენის/პროცესის აღმწერი (რიგ შემთხვევებში მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე) ორი სხვადასხვა ტიპის წყარო (წერილობითი და ვიზუალური). აბიტურიენტმა უნდა შეაჯეროს მოცემულ წყაროებში არსებული ინფორმაცია და უპასუხოს დავალებაში დასმულ შეკითხვებს ორივე წყაროზე დაყრდნობით (ეს ორი წყარო ერთმანეთს ავსებს) მოცემული ისტორიული მოვლენის რეკონსტრუირების საფუძველზე.

**მოწმდება:** ისტორიული წყაროში მოცემული ინფორმაციის წაკითხვის, მისი ამოყენებისა, ინტერპრეტაციისა და ისტორიულ კონტექსტში ჩასმის უნარი.

**შეფასება:** დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

*ნიმუში იხილეთ 2020 წლის თანდართული ტესტში*

### დავალების IV ტიპი

- **ვიზუალური წყაროს ანალიზი**

**დავალების აღწერა და ინსტრუქცია:** ილუსტრაცია ასახავს ერთ კონკრეტულ ისტორიულ მოვლენას/პროცესს. აპლიკანტმა დასმულ კითხვებს უნდა უპასუხოს.

**მოწმდება:** ისტორიული წყაროში მოცემული ინფორმაციის წაკითხვის, მისი გამოყენებისა, ინტერპრეტაციისა და ისტორიულ კონტექსტში ჩასმის უნარი.

**შეფასება:** დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

*ნიმუში იხილეთ 2020 წლის თანდართული ტესტში*

## დავალების V ტიპი

- ისტორიული რუკის ანალიზი

**დავალების აღწერა და ინსტრუქცია:** დავალებაში მოცემულია გარკვეული ეპოქის ისტორიული რუკა, რომელსაც თან ახლავს შეკითხვები.

**მოწმდება:** ისტორიული წყაროში - რუკაზე მოცემული ინფორმაციის წაკითხვის, მისი გამოყენებისა, ინტერპრეტაციისა და ისტორიულ კონტექსტში ჩასმის უნარი.

**შეფასება:** დავალების მაქსიმალური ქულაა 11.

*ნიმუში იხილეთ 2020 წლის თანდართული ტესტში*

## დავალების VI ტიპი

- პრობლემის ანალიზი

**დავალების აღწერა და ინსტრუქცია:** დავალებაში მოცემულია მოკლე ტექსტი, სადაც საუბარია ორ ურთიერთსაწინააღმდეგო თვალსაზრისზე კონკრეტულ ისტორიულ მოვლენასთან//მოვლენებთან დაკავშირებით. აბიტურიენტმა საკუთარი არგუმენტები უნდა წარმოადგინოს ორი განსახვავებული თვალსაზრისის შეფასებისას.

**მოწმდება:** ისტორიული მოვლენების/ფაქტების შეფასების უნარი; არგუმენტირებული მსჯელობის უნარი; კრიტიკული აზროვნების უნარი.

**შეფასება:** თითოეული არგუმენტი ფასდება 1 ქულით.

*ნიმუში იხილეთ 2020 წლის თანდართული ტესტში*

## დავალების VII ტიპი

- ისტორიული მოვლენის შეფასება

**დავალების აღწერა და ინსტრუქცია:** აბიტურიენტმა უნდა გააანალიზოს/განიხილოს და საკუთარი შეფასება მისცეს ამა თუ იმ ისტორიული პროცესს/მოვლენას/პიროვნების მოღვაწეობას არგუმენტირებული მსჯელობის და ანალიზის საფუძველზე.

**მოწმდება:** ისტორიული მოვლენების/ ფაქტების/პიროვნებების კრიტიკული გააზრების უნარი; არგუმენტირებული მსჯელობის უნარი; შეფასების უნარი.

**შეფასება:** დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

*ნიმუში იხილეთ 2020 წლის თანდართული ტესტში*

## დავალების VIII ტიპი

- წერილობითი ისტორიული წყაროს ანალიზი

**დავალების აღწერა და ინსტრუქცია:** დავალებაში მოცემულია უცნობი წერილობითი (ნარატიული, დოკუმენტური) ისტორიული წყარო, რომელსაც თან ახლავს შეკითხვები.

**მოწმდება:** წერილობით ისტორიული წყაროში მოცემული ინფორმაციის წაკითხვის, მისი გამოყენებისა, ინტერპრეტაციისა და ისტორიულ კონტექსტში ჩასმის უნარი. საკუთარი აზრის შემუშავებისა და არგუმენტირებულად დასაბუთების, ლოგიკური, კრიტიკული აზროვნების უნარი; მოვლენათა შეფასების უნარი.

**შეფასება:** დავალების მაქსიმალური ქულაა 17.

*ნიმუში იხილეთ 2020 წლის თანდართული ტესტში*

## აბიტურიენტების მიერ დაშვებული ტიპური შეცდომები

აბიტურიენტები ისტორიაში ერთიანი ეროვნული გამოცდების ტესტური დავალებების შესრულებისას, ძირითადად, ორი ხასიათის, ტექნიკურ და შინაარსობრივ შეცდომებს უშვებენ. ტექნიკური ხასიათის შეცდომაში იგულისხმება ძნელად გასარჩევი, ხარვეზებით შევსებული პასუხების ფურცელი, რომელშიც ნაწერის ამოკითხვა ხშირად პრობლემური, ზოგჯერ შეუძლებელიც კი ხდება. ამიტომ, აბიტურიენტებს ვთხოვთ, გარკვევით შეავსონ პასუხების ფურცელი, რათა მათი ნაწერების შეფასება შესაძლებელი გახდეს. რაც შეეხება შინაარსობრივი ხასიათის შეცდომებს, სხვადასხვა ხასიათის პრობლემა გამოიკვეთა, კერძოდ:

- ✓ ტესტურ დავალებაში დასმულ შეკითხვაზე ზოგადი პასუხის გაცემა, რომელიც, პრაქტიკულად, სხვა ნებისმიერ კითხვასაც „მოერგება“. გაითვალისწინეთ, ზოგადი პასუხი გასწორებისას არ შეფასდება.

### მაგალითისათვის:

დავალება 22. (პრობლემის ანალიზი)

1095 წელს ქალაქ კლერმონში რომის პაპმა, ურბან II-მ ევროპელებს აღმოსავლეთში გალაშქრებისა და მუსლიმთაგან მაცხოვრის საფლავის გათავისუფლებისკენ მოუწოდა. ფეოდალთა ერთი ნაწილი ურბან II-ის მოწოდების მომხრე იყო, ხოლო მეორე ნაწილი - მოწინააღმდეგე.

მოიყვანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც პაპის მოწოდების მომხრე თავის პოზიციას დაიცავდა.

მოიყვანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც პაპის მოწოდების მოწინააღმდეგე თავის პოზიციას დაიცავდა.

### აბიტურიენტის მიერ გაცემული პასუხები:

*პაპის მოწოდების მომხრე : ეს აშკარად კარგი იქნებოდა ევროპისა და ქრისტიანებისთვის.*

*პაპის მოწოდების მოწინააღმდეგე : ცხადია, რომ ეს მოიტანდა უარყოფით შედეგებს.*

ამ შემთხვევაში აბიტურიენტის არგუმენტები როგორც პაპის მოწოდების მომხრის, ასევე - მოწინააღმდეგის სასარგებლოს ძალიან ზოგადი ხასიათისაა და დადებითი ქულით ვერ შეფასდება. სწორ პასუხებში უნდა ჩანდეს პაპის მოწოდების მომხრეთა კონკრეტული მოტივაცია ისევე, როგორც მოწინააღმდეგის კონკრეტული არგუმენტები (ნებისმიერი ლოგიკური პასუხი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას).

დავალემა 24. (ისტორიული მოვლენის შეფასება)

IV-VII საუკუნეებში ევროპაში „ხალხთა დიდი გადასახლების“ სახელით ცნობილი ისტორიული პროცესი მიმდინარეობდა.

კითხვა: დაასახელეთ ამ ისტორიული პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი.

აბიტურიენტის მიერ გაცემული პასუხი:

*ხალხთა გადასახლებამ უარყოფითად იმოქმედა მსოფლიო მოვლენებზე.*

აქაც აბიტურიენტის პასუხი ძალიან ზოგადია და კონკრეტულად არაფერს გვეუბნება მოცემული ისტორიული პროცესის შედეგზე. შესაბამისად, ამგვარი ზოგადი პასუხები (კარგი იქნებოდა, ცუდი იქნებოდა, პროგრესული იყო, დადებითი იყო, უარყოფითი იყო და ა. შ.) არ შეფასდება.

- ✓ ტესტის 22-23-ე დავალებებში (პრობლემის ანალიზი) გასათვალისწინებელია ის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომ ამა თუ იმ მოსაზრების განსამტკიცებლად მოყვანილი არგუმენტი უნდა იყოს მისაღები იმ ეპოქისათვის, რომელსაც ეხება ეს თუ ის ისტორიული საკითხი. არის შემთხვევები, როდესაც არგუმენტად მოაქვთ პოსტფაქტუმ შემდგარი მოვლენები.

მაგალითისათვის:

დავალემა 23. (პრობლემის ანალიზი)

1811 წელს იმპერატორმა ნაპოლეონ I-მა რუსეთის წინააღმდეგ საომრად მზადება დაიწყო. მისი თანამებრძოლების ერთი ნაწილი რუსეთში ლაშქრობის მომხრე იყო, ხოლო მეორე ნაწილი - მოწინააღმდეგე.

მოიყვანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც რუსეთში ლაშქრობის მომხრე თავის პოზიციას დაიცავდა.

მოიყვანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც რუსეთში ლაშქრობის მოწინააღმდეგე თავის პოზიციას დაიცავდა.

აბიტურიენტის მიერ გაცემული პასუხები:

*რუსეთში ლაშქრობის მოწინააღმდეგე : არ უნდა ელაშქრა, რადგან დიდი ზარალი ნახა ბოროდინოს ბრძოლაში და საბოლოოდ მოსკოვის დატოვებაც მოუხდა.*

ეს არგუმენტი არ ჩაითვლება, რადგან თათბირის დროს მოწინააღმდეგე ამგვარ მსჯელობას ვერ განავითარებდა, მას წინასწარ არ ეცოდინებოდა ბოროდინოს ბრძოლის შედეგი. პასუხი რომ ამგვარი ყოფილიყო: არ უნდა ვილაშქროთ, რადგან რუსეთი დიდია და ძლიერი, მრავალრიცხოვანი ჯარი ჰყავს და გაგვიჭირდება - ეს ვერსია ჩაითვლებოდა (ან ნებისმიერი ლოგიკური პასუხი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას).

✓ ერთი კონკრეტული პასუხის ნაცვლად რამდენიმე პასუხის გაცემა (ზოგიერთ შემთხვევაში, პასუხები ურთიერთგამომრიცხავია). გაითვალისწინეთ, ამგვარი პასუხი გასწორებისას არ შეფასდება.

**მაგალითისათვის:**

დავალეზა 21. (ისტორიული რუკის ანალიზი)



21.8. დაასახელეთ რუკაზე აღნიშნული ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე სახელმწიფოები, რომლებიც შეიქმნა ევროპელთა ლაშქრობების შედეგად.



აბიტურიენტის მიერ გაცემული პასუხი:

*ვენეციის რესპუბლიკა, კვიპროსის სამეფო, იერუსალიმის სამეფო, ტრიპოლის საგრაფო, ანტიოქიის სამთავრო, ართუკიდები.*

ამ შემთხვევაში სწორი (იერუსალიმის სამეფო, ტრიპოლის საგრაფო, ანტიოქიის სამთავრო) და არასწორი (ვენეციის რესპუბლიკა, კვიპროსის სამეფო, ართუკიდები) პასუხები ერთ ჩამონათვალშია მოცემულია. შესაბამისად, ამგვარი პასუხი გასწორებისას არ შეფასდება.

- ✓ ხშირად აბიტურიენტები არ აკვირდებიან ტესტური დავალების შეკითხვა მხოლოდით რიცხვშია დასმული თუ მრავლობითში. შესაბამისად, სრულყოფილ პასუხს ვერ სცემენ დასმულ შეკითხვებს. გაითვალისწინეთ, ამგვარ შემთხვევაში აბიტურიენტი ქულას/ქულებს კარგავს.

მაგალითისათვის:

დავალება 25. (წერილობითი ისტორიული წყაროს ანალიზი)

25.8. სრულად ჩამოთვალეთ, თუ რა ინფორმაციას გვაწვდის წყარო ბექა ჯაყელის შესახებ.

აბიტურიენტის მიერ გაცემული პასუხი:

*ბექა იყო მეჭურჭლეთუხუცესი, დაიპყრო მესხეთი.*

ეს არასრული პასუხია. მართალია, აქ დასახელებულია ორი ფაქტი, მაგრამ წყაროში ბექა ჯაყელის შესახებ სხვა ინფორმაციაც არის მოცემული<sup>1</sup>. პასუხთა ჩამონათვალს აკლია - მეფის ნათესავია

---

<sup>1</sup> წყაროს ტექსტი: „მეფე დემეტრე დავაჟკაცდა. სახელმწიფო საქმეებს კარგად განაგებდა. სადუნს დიდი გავლენა ჰქონდა, რადგანაც იგი მეტად გააძლიერა ყაენმა. სადუნმა მეფე დემეტრესგან მიიღო თელავის, ბელაქნისა და სხვა მრავალი მხარის მმართველობა. იმ ხანებში გაძლიერდა მეჭურჭლეთუხუცესი ბექა ჯაყელი. მან დაიპყრო სრულიად მესხეთი. დამშვიდდა ქვეყანა და ყოველ მხრივ იყო მშვიდობა. მოხედა წყალობით ღმერთმა თავის მოიმედებებს და იყო უხვად პური და ღვინო. მეფე დემეტრე განაგებდა სამეფო საქმეებს. რადგან ცოტა მოიცალეს ჭირთაგან და მოისვენეს, საღმრთო გზისგან გადაუხვიეს და იწყეს განდგომა. მეფემ მოიყვანა სამი ცოლი, ასევე სადუნმაც სამი ცოლი მოიყვანა. მთავრებმა დაიწყეს საყდართა და მონასტერთა შევიწროება. მეფე დემეტრეს ტრაპიზონის იმპერატორის ასულისგან ჰყავდა შვილები: დავითი, ვახტანგი, ლაშა, მანოველი და რუსუდანი. მონღოლის ასულისგან - ორი ძე და ასული. ბექას ასულმა მხოლოდ ერთი ძე გაუჩინა. ყაენ არღუნს ემსახურებოდა დემეტრე მეფე და მას დიდად ეხმარებოდა ნოინი ბულა. ნიკოლოზ კათოლიკოსი ხშირად საყვედურობდა და ამხელდა მეფეს, მაგრამ ვერ დაარწმუნა. მამინ ნიკოლოზმა დატოვა კათოლიკოსობა და აკურთხა კათოლიკოსად მეფის ჯვრისმტვირთველი აბრაჰამი. თვით კი წავიდა თავის მამულში და იქ იმყოფებოდა დამაშვრალი მარხვით, მღვიძარებით, გლახაკთა მოწყალებით.“

(სწორი პასუხია - მეჭურჭლეთუხუცესია, მესხეთის მფლობელია, მეფის ნათესავია), რადგან მეფეს ცოლად ყავდა ბექას ასული („ბექას ასულმა მხოლოდ ერთი ძე გაუჩინა“). თუ კითხვაში მითითებულია: „სრულად ჩამოთვალეთ“ ან „სრულად დაასახელეთ“ - ეს ნიშნავს, რომ აბიტურიენტმა უნდა ჩამოთვალოს ან დაასახელოს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებული ინფორმაციის მაქსიმალური რაოდენობა, ყველაფერი, რასაც შეკითხვა ეხება. აქედან გამომდინარე, აბიტურიენტი უნდა დააკვირდეს მხოლოდით თუ მრავლობით რიცხვშია კითხვა დასმული.

# ტესტი ისტორიაში

## I ვარიანტი

### ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 2 საათი და 40 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!



## ინსტრუქცია დავალებებისათვის № 1-15

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენ მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

## 1. რას გულისხმობდა „ოსტრაკიზმი“ ანუ „ოსტრაკისმოსი“?

- ა) დიდი აგორას ხელახალი არჩევნების ჩატარებას;
- ბ) დროებით მთელი ძალაუფლების არეოპაგისტვის გადაცემას;
- გ) სახალხო კრების მიერ არასასურველი პიროვნების დროებით გაძევებას;
- დ) ხუთასთა საბჭოს მიერ პიროვნებისთვის არჩევნებში მონაწილეობის აკრძალვას.

## 2. რა იყო კანეს ბრძოლის შედეგი?

- ა) რომაელებმა დიდი დანაკარგის ფასად შეძლეს კართაგენელთა განდევნა იტალიიდან;
- ბ) კართაგენელებმა გაარღვიეს ქალაქ რომთან არსებული თავდაცვითი ზღუდე;
- გ) რომაელებმა დიდი მსხვერპლის ფასად დაამარცხეს კართაგენელები;
- დ) კართაგენელებმა გაანადგურეს რომაელთა ძირითადი ძალები.

### 3. რამ გადააწყვეტინა სენატორთა ნაწილს კეისრის მკვლელობა?

- ა) მსხვილი მიწათმფლობელების მამულების ნაწილის ვეტერანებისთვის გადაცემამ;
- ბ) მოქალაქეთა მდიდარი ფენისთვის ახალი გადასახადების დაწესებამ;
- გ) რესპუბლიკური მმართველობის ფაქტობრივმა უგულვებელყოფამ;
- დ) პატრიციების ხარჯზე პლებეების უფლებების გაფართოებამ.

#### 4. რომელი ფაქტი არ უკავშირდება ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობას?

- ა) ქართული ეკლესიის მმართველობის წესის ცვლილება;
- ბ) ირანელთა დახმარებით ჩრდილოეთ კავკასიაში ლაშქრობა;
- გ) მოკავშირეებთან ერთად დიდი ანტიირანული აჯანყების დაწყება;
- დ) სახელმწიფოს ხელახალი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა.



## 5. რა მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა არაბეთის ნახევარკუნძულზე VII საუკუნის 20-30-იან წლებში?

- ა) შეიქმნა პირველი ცეცხლსასროლი იარაღი;
- ბ) დასრულდა ხალიფების მმართველობა;
- გ) ჩაისახა ახალი მსოფლიო რელიგია;
- დ) დაარსდა ახალი სავაჭრო პოლისები.

## 6. ვის მოღვაწეობას უკავშირდება პაპის ოლქის შექმნა?

- ა) ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანეს;
- ბ) ფრანკთა მეფე პიპინ მოკლეს;
- გ) საღვთო რომის იმპერატორ ოტოს;
- დ) რომის იმპერატორ თეოდოსიუსს.

7. რომელი მსჯელობაა მართებული X საუკუნის ბოლოს საქართველოში განვითარებულ მოვლენასთან დაკავშირებით?

- ა) დავით კურაპალატმა შიდა ქართლის მმართველად ბაგრატი დაადგინა;
- ბ) იოანე მარუშის ძემ თბილისის ამირა საჰაკი დაამარცხა;
- გ) კვირიკე ქორეპისკოპოსმა აფხაზთა მეფედ თეოდოსი დასვა;
- დ) ლიპარიტ ბაღვაშმა ჰერეთის მეფე შეიპყრო.

8. რაზე შეიძლება მიუთითებდეს ის ფაქტი, რომ XIII საუკუნის დასაწყისში საქართველომ აქტიური როლი ითამაშა ტრაპიზონის იმპერიის დაარსებაში?

- ა) ბიზანტიის იმპერიის დასუსტებაზე;
- ბ) შინაომებზე სელჩუკთა სასულთნოში;
- გ) მონღოლთა ბატონობის დასრულებაზე;
- დ) ჯვაროსნული ლაშქრობების შეწყვეტაზე.

## 9. რა პირობას ითვალისწინებდა გიორგი VII-სა და თემურ ლენგს შორის დადებული ზავი?

- ა) გიორგი VII თემურ ლენგის ვასალობას კისრულობდა, ხოლო თემურ ლენგი საქართველოს აღარ შემოესეოდა;
- ბ) გიორგი VII სამხრეთ საქართველოს თემურ ლენგს უთმობდა, სადაც დამოუკიდებელი საათაბაგო უნდა შექმნილიყო;
- გ) გიორგი VII იღებდა ისლამს, ამის სანაცვლოდ კი თემურ ლენგი მას მთელი საქართველოს ვალად ამტკიცებდა;
- დ) გიორგი VII წყვეტდა ხელშეკრულებას ილხანთა საყაენოსთან, ხოლო თემურ ლენგი სამხედრო დახმარებას აღუთქვამდა.

## 10. რა მიზნით ჩამოვიდა რომის პაპის პიუს II-ის წარმომადგენელი საქართველოში?

- ა) საქართველოს ანტიოსმალურ სამხედრო კოალიციაში ჩართვისთვის;
- ბ) ქართველთა შორის კათოლიკური სარწმუნოების პროპაგანდისთვის;
- გ) ყიზილბაშებსა და საქართველოს შორის მოლაპარაკებებში შუამავლობისთვის;
- დ) საქართველოსთან სავაჭრო ურთიერთობის დამყარებისთვის.

## 11. რომელი მსჯელობაა მართებული დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქასთან დაკავშირებით?

- ა) პორტუგალიელებმა პედრო ალბუკერკის მეთაურობით ევროპელთა შორის პირველებმა მიაღწიეს იაპონიამდე;
- ბ) ფრანგებმა ლუი ბუგენვილის მეთაურობით აღმოაჩინეს ავსტრალიის კონტინენტი და ჰავაის კუნძულები;
- გ) ინგლისელებმა ფრენსის დრეიკის მეთაურობით პირველებმა შეძლეს გარს შემოევლოთ დედამიწისთვის;
- დ) ესპანელთა ფლოტმა ქრისტეფორე კოლუმბის მეთაურობით გადაცურა ატლანტის ოკეანე და აღმოაჩინა ამერიკის კონტინენტი.

## 12. რას ითვალისწინებდა 1598 წელს საფრანგეთის მეფის, ანრი IV-ის მიერ გამოცემული „ნანტის ედიქტი“?

- ა) ჰუგენოტები ვალდებული იყვნენ დაუყოვნებლივ მიეღოთ კათოლიკობა ან სამუდამოდ დაეტოვებინათ საფრანგეთი;
- ბ) საფრანგეთი კათოლიკურ სახელმწიფოდ რჩებოდა, თუმცა ჰუგენოტები ღებულობდნენ აღმსარებლობის თავისუფლებას;
- გ) საფრანგეთი წყვეტდა კავშირს რომის პაპთან და აყალიბებდა დამოუკიდებელ პროტესტანტულ ეკლესიას;
- დ) საფრანგეთი ხდებოდა ლუთერანული სახელმწიფო, სადაც კათოლიკებს შეეძლოთ ეცხოვრათ შეზღუდული უფლებებით.



### 13. რა მიუთითებს XVIII საუკუნის დასაწყისში საქართველოს კულტურულ აღმავლობაზე?

- ა) გელათში აკადემიის აღორძინება;
- ბ) თბილისში სტამბის დაარსება;
- გ) ქართულენოვანი გაზეთის გამოცემა;
- დ) პროფესიული თეატრის აღდგენა.

14. საქართველოს რომელი ისტორიული რეგიონი მოექცა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად?

ა) აფხაზეთი;

ბ) სამცხე;

გ) არტაანი;

დ) ტაო.

15. ვის მიმართ განხორციელებული ტერორისტული აქტი გახდა I მსოფლიო ომის დაწყების უშუალო საბაზი?

- ა) ავსტრია-უნგრეთის ტახტის მემკვიდრის;
- ბ) იტალიის პრემიერ-მინისტრის;
- გ) საფრანგეთის პრეზიდენტის;
- დ) გერმანიის კრონპრინცის.

## ინსტრუქცია დავალებებისათვის № 16-18

ქრონოლოგიურად დაალაგეთ ისტორიული მოვლენები და პიროვნებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის ან პიროვნების შესაბამისი ციფრი. პირველ უჯრაში იწერება ის ციფრი, რომლითაც ყველაზე ადრე მომხდარი მოვლენაა აღნიშნული და ა.შ. შესაბამისად, ბოლო, მესამე უჯრაში ის ციფრი ჩაიწერება, რომლითაც ყველაზე გვიან მომხდარი მოვლენა აღინიშნა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

## 16. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ძველი აღმოსავლეთის ისტორიასთან დაკავშირებული მოვლენები:

1. ასურეთის სამეფოს განადგურება;
2. ურარტუს სამეფოს დაცემა;
3. ხეთების სამეფოს განადგურება.

## 17. ქრონოლოგიურად დაალაგეთ მონღოლთა ლაშქრობებთან დაკავშირებული მოვლენები:

1. ქალაქ ბაღდადის აღება;
2. ხორეზმის სახელმწიფოს დაპყრობა;
3. საქართველოს სამეფოსთან დაზავება.


## 18. ქრონოლოგიურად დაალაგეთ I მსოფლიო ომთან დაკავშირებული მოვლენები:

1. ვერდენის ბრძოლა;
2. რუსეთში იმპერატორის გადადგომა;
3. დიდი ბრიტანეთის ჩართვა მსოფლიო ომში.


## ინსტრუქცია დავალებისათვის № 19

თქვენ წინაშეა ერთი კონკრეტული ისტორიული მოვლენის აღმწერი ორი სხვადასხვა ტიპის წყარო: ბრძოლის სქემა და ტექსტი. შეაჯერეთ ორივე წყაროში არსებული ინფორმაცია და უპასუხეთ დასმულ შეკითხვებს მხოლოდ წყაროებში არსებული ინფორმაციის მიხედვით. ყოველ კითხვას გაეცით კონკრეტული და ამომწურავი პასუხი. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

დავალება და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე.







ხანგრძლივი მზადების შემდეგ ოსმალთა ლაშქარი ყარა-მუსტაფა ფაშას მეთაურობით ჩრდილოეთისაკენ დაიძრა, ივლისში ქალაქს მიადგა და დაიწყო ალყა. ყარა-მუსტაფამ ქალაქზე შეტევა იმ მხრიდან წამოიწყო, რომელიც ყველაზე იოლად ასაღებად მიიჩნია. ოსმალები გარნიზონის მიერ აღმართული თავდაცვითი ნაგებობების დაკავებას და ქალაქის კედლების ჩამონგრევას ცდილობდნენ. ქალაქის დამცველთა წინააღმდეგობის მიუხედავად, ოსმალები წინ მიიწევდნენ. სექტემბრისათვის გარნიზონის მდგომარეობა დამძიმდა. ოსმალთა გამარჯვება გარდაუვალი ჩანდა. ამ დროს ქალაქს პოლონეთის მეფე იან სობესკის მეთაურობით დამხმარე ლაშქარი მიუახლოვდა. ფაშამ ლაშქრის ერთ ნაწილს ალყის გაგრძელება უბრძანა, ხოლო მეორესთან ერთად მოწინააღმდეგეს შეუტია. ორ ლაშქარს შორის ბრძოლა გაჩაღდა. შუადღისათვის გორაკებზე განლაგებული პოლონურ-გერმანული კავალერია შეტევაზე გადავიდა და სხვა შენაერთებთან შედარებით ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია.

**კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე.**

## კითხვები:

(1) **19.1.** რომელი ქალაქის ალებას ცდილობდნენ ოსმალები?

(1) **19.2.** ქალაქის რომელი მხარე (ჩრდილოეთი, სამხრეთი, დასავლეთი, აღმოსავლეთი) მიიჩნია ყარა-მუსტაფამ ყველაზე სუსტად?


(1) **19.3.** სრულად აღწერეთ, რა მოიმოქმედა ყარა-მუსტაფა ფაშამ ქალაქის დასახმარებლად წამოსული ლაშქრის გამოჩენის შემდეგ.

(1) **19.4.** დაასახელეთ კონკრეტულად რაში გამოიხატა პოლონურ-გერმანული კავალერიის წარმატება.

## ინსტრუქცია დავალებისათვის № 20

ყურადღებით გააანალიზეთ ილუსტრაციაზე მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ დასმულ კითხვებს. ყოველ კითხვას გაეცით კონკრეტული და ამომწურავი პასუხი. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

დავალება და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე.





ილუსტრაციაზე ინგლისურად წერია:

ზევით მარცხნივ - ერთობა!

ზევით მარჯვნივ - შტატების უფლებები!

შუაში მარცხნივ - თავისუფლება!

შუაში ცენტრში - ემანსიპაცია!

შუაში მარჯვნივ - ტრადიცია!

**კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე.**

## კითხვები:

(2) **20.1.** XIX საუკუნეში რომელ სახელმწიფოში განვითარებულ მოვლენას ეხება წარმოდგენილი ილუსტრაცია? საკუთარი მოსაზრება დაასაბუთეთ ილუსტრაციაზე არსებული ინფორმაციის მიხედვით.

(2) **20.2.** რა სახელწოდებითაა ცნობილი ილუსტრაციაზე წარმოდგენილი მოვლენა? საკუთარი მოსაზრება დაასაბუთეთ ილუსტრაციაზე არსებული ინფორმაციის მიხედვით.

## ინსტრუქცია დავალებისათვის № 21

დავალებაში მოცემულია გარკვეული ეპოქის ისტორიული რუკა. უპასუხეთ დასმულ კითხვებს, ხოლო პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 11.

რუკა და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე.



# რუკის პირობითი აღნიშვნები

- ქალაქი
- ⊙ დედაქალაქი
- X ბრძოლის ადგილი
- ▲ ლაშქრობის დროს აღებული ქალაქები
- ლაშქრობის მიმართულება
- ↔ ჯარების გადაადგილების მიმართულებები
- 1 ვენეციის რესპუბლიკა
- 2 კვიპროსის სამეფო
- 3 იერუსალიმის სამეფო
- 4 ტრიპოლის საგრაფო
- 5 ანტიოქიის სამთავრო
- 6 ართუქიდები



კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე.

## კითხვები:

(1) **21.1.** რომელი საუკუნის ვითარებაა ასახული რუკაზე?

(1) **21.2.** რა კონკრეტული სახელწოდებითაა ცნობილი რუკაზე წითელი ისრით აღნიშნული ლაშქრობა?

(1) **21.3.** რუკის მიხედვით, დაასახელეთ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მდებარე სახელმწიფოები, რომლებსაც არ შეხებია წითელი ისრით აღნიშნული ლაშქრობა.

(1) **21.4.** რუკის რომელი კონკრეტული მონაცემის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა ასევე სომხური მიწებიც?

(1) **21.5.** რუკის მიხედვით, რომელი სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა ქალაქი იერუსალიმი?

(2) **21.6.** რომელი ნავსადგურიდან დაიძრნენ რუკაზე წითელი ისრით აღნიშნული ლაშქრობის მონაწილენი და რომელი ქალაქი აიღეს გზად?

(2) **21.7.** რომელ სახელმწიფოებს შორის გაიმართა რუკაზე აღნიშნული ბრძოლა და რა სახელითაა ის ცნობილი?

(2) **21.8.** დაასახელეთ, რუკაზე აღნიშნული ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე სახელმწიფოები, რომლებიც შეიქმნა ევროპელთა ლაშქრობების შედეგად.



### ინსტრუქცია დავალებებისათვის № 22 და 23

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ტექსტები და შეასრულეთ დავალებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. გაითვალისწინეთ, არგუმენტი უნდა იყოს კონკრეტული, აზრი კი - ნათლად ჩამოყალიბებული და დასრულებული. თითო არგუმენტი ფასდება 1 ქულით. თითოეული დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

## დავალება 22

1095 წელს ქალაქ კლერმონში რომის პაპმა, ურბან II-მ ევროპელებს აღმოსავლეთში გალაშქრებისა და მუსლიმთაგან მაცხოვრის საფლავის გათავისუფლებისკენ მოუწოდა. ფეოდალთა ერთი ნაწილი ურბან II-ის მოწოდების მომხრე იყო, ხოლო მეორე ნაწილი - მოწინააღმდეგე.

მოიყვანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც პაპის მოწოდების მომხრე თავის პოზიციას დაიცავდა.

მოიყვანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც პაპის მოწოდების მოწინააღმდეგე თავის პოზიციას დაიცავდა.

## დავალება 23

XVIII საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში ერეკლე II-მ გადაწყვიტა, ოსმალეთის სულთანთან ურთიერთობა აღედგინა. ამასთან დაკავშირებით მან სამეფო კარზე თათბირი გამართა. ფეოდალთა ერთი ნაწილი სულთანთან ურთიერთობის განახლების მომხრე იყო, ხოლო მეორე ნაწილი - მოწინააღმდეგე.

მოიყვანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც ერეკლე II-ის მიერ სულთანთან ურთიერთობის აღდგენის მომხრე თავის პოზიციას დაიცავდა.

მოიყვანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც ერეკლე II-ის მიერ სულთანთან ურთიერთობის აღდგენის მოწინააღმდეგე თავის პოზიციას დაიცავდა.

## ინსტრუქცია დავალებისათვის № 24

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი დავალება და შეაფასეთ მასში მოცემული ისტორიული პროცესის მნიშვნელობა. გაითვალისწინეთ, არგუმენტი უნდა იყოს კონკრეტული, აზრი კი - ნათლად ჩამოყალიბებული და დასრულებული. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

## დავალება 24

IV-VII საუკუნეებში ევროპაში „ხალხთა დიდი გადასახლების“ სახელით ცნობილი ისტორიული პროცესი მიმდინარეობდა.

### კითხვები:

- (1) **24.1.** დაასახელეთ ამ ისტორიული პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი.
- (1) **24.2.** შეაფასეთ ამ შედეგის მნიშვნელობა მსოფლიო ისტორიისათვის. აუცილებლად მოიყვანეთ არგუმენტი საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.

## ინსტრუქცია დავალებისათვის №25

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 17.

ისტორიული დოკუმენტი და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე.



## ნაწყვეტი „ახალი ქართლის ცხოვრებიდან“

გაემზადა მოურავი გიორგი სააკაძე, წამოვიდა და თან გამოატანეს პატარა სვიმონ მეფე. მრავალრიცხოვანი ლაშქრით ჩამოვიდნენ ქართლში. აკეთებდა მოურავი იმ საქმეს, რაც ყაენისგან ჰქონდა დავალებული. მოურავს ჩვევა ჰქონდა, ქორი დაეგემა. ერთ დღესაც ლოჭინის ხევში გავიდა ქორის დასაგემად. დაინახა, რომ შიკრიკი მოდიოდა. იცნო, ყაენის მალემსრბოლი იყო. დაუძახა მოურავმა მაცნეს, რომ მასთან მისულიყო. რაკილა არ დამორჩილდა შიკრიკი, ცხენით წამოეწია, შეიპყრო, ძალით გაჩხრიკა და უპოვა წერილი. წაიკითხა, ასე მოეწერა ყაენს ყარჩიხა-ხანისთვის: „ჩემს ბრძანებას რომ აღასრულებ, შემდეგ მოურავს ლალატით გააგდებინე თავი და გამომიგზავნეო“. ეს რომ წაიკითხა მოურავმა, მოკლა მალემსრბოლი. შეწუხდა და გამოსავალს ეძებდა.

გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#)

ნუგზარ ერისთავი მაშინ მოურავის მოყვარე და მეგობარი იყო. მის ვაჟს, ზურაბს ჰქონდა ერისთავობა. ზურაბ ერისთავს ცოლი ისპაჰანში ჰყავდა დატოვებული. პაატა, მოურავის შვილიც, იქ ისპაჰანში იყო დარჩენილი. მაშინ მოურავმა ურჩია ზურაბს: „მოდე, ქართლს ნუ ამოვწყვეტ, თორემ სულსაც დაგკარგავთ და მერე ჩვენც არ დაგვინდობენო“. ბევრი თათბირისა და კამათის შემდეგ, ზურაბმა თავისი ცოლი გაწირა, მოურავმა კი - თავისი შვილი, პაატა. ზურაბი რომ გადაიბირა მოურავმა, მერე ურჩია ყარჩიხა-ხანს: „გავგზავნოთ ანდუყაფარ ამილახორი და ზურაბ ერისთავი, დავიბაროთ ქართლის მთელი მოსახლეობა, შევიპყროთ და ყაენს გავუგზავნოთო“.

მაშინ გაგზავნეს ხალხი და მთელი ქართლი იქ მიიხმეს. რომ შეგროვდნენ, ზურაბ ერისთავმა ფარულად იხმო ქართლები და ასე უთხრა:

**ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე.**

„ჩვენ ყაენისგან ასე გვაქვს დაბარებული, კახელები დავხოცოთ, ქართლელები კი, აგყაროთ და ყაენტან გაგზავნოთ. ახლა ჩვენ ამას ვფიქრობთ, მოვაწყოთ შეთქმულება, ამოვწყვიტოთ ყიზილბაშები და ნუ ამოვაგდებთ ქართლს“. ქართლელებმა რომ გაიგეს, მეტად განცვიფრდნენ და შეწუხდნენ. პირობა მისცეს ზურაბ ერისთავს და მტკიცედ შეჰფიცეს, რომ „რასაც თქვენ გვიბრძანებთ, იმას გავაკეთებთ“.

მაშინ შეიკრიბნენ ქართლელები და ზურაბ ერისთავი და აცნობეს დიდ მოურავს. გათენებისას მოვიდნენ და თავს დაესხნენ ყიზილბაშებს. მეტად სასახელოდ მოიქცა იმ ღამეს მოურავი: მივიდა და თვითონ განგმირა შუბით ყარჩიხა-ხანი. დაუშინეს თოფები და მთლიანად ამოწყვიტეს ქართველებმა ყიზილბაშები. ასე მისცა ღმერთმა ქართველებს ძლევა და

გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#)

გაიმარჯვეს: ამოწყვიტეს მტერი და განდევნეს. მაშინ გამარჯვებული ქართლელები ფეიქარ-ხანის წინააღმდეგ დაიძრნენ, რომელიც კახეთში იჯდა. გაიგო ეს ფეიქარ-ხანმა და გაიქცა.

გონიოში კაცი გაუგზავნეს მეფე თეიმურაზს და მოიხმეს. მოიყვანეს და კახეთის ტახტზე დასვეს.

ქართლის გამგებლად დავით მეფის ძის შვილიშვილი ქაიხოსრო მუხრანბატონი დაადგინეს. მაგრამ მის ხელისუფლებას არ ემორჩილებოდნენ, თავადები ცალ-ცალკე პატრონობდნენ ქართლს. თვითონ ზურაბ ერისთავი და ვინც კი იყო ქართლის წარჩინებული, თავს დებდნენ მოურავისთვის და ყმებივით ემონებოდნენ.

ყაენმა რომ შეიტყო ეს ამბავი, მეტად განრისხდა

**ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე.**



და გამოგზავნა ისა-ხან ყორჩიბაში. დიდი ძალებით გამოემართნენ, ჩამოვიდნენ და ალგეთში დაბანაკდნენ. მაშინ გაერთიანდნენ ქართლელები და კახეთის მბრძანებელი თეიმურაზი შეკრებილი კახელებით. იმჟამად ხონთქარი გაჯავრებული იყო მანუჩარ ათაბაგზე. ის ველარ გაუჩერდა ურუმებს, სამასი კაციით ახალდაბაში წამოვიდა და შემოუერთდა. ძალიან გაუხარდათ ქართლელებსა და კახელებს. წავიდნენ და განთიადის ჟამს თავს დაესხნენ ყორჩიბაშს. მათ კი ეს წინასწარ იცოდნენ, თოფხანა მომზადებული ჰქონდათ. მივიდნენ ქართველები და თოფები დაუშინეს. ისეთი კვამლი დადგა, იმათი ჯარი ველარ დაინახეს. კვამლი რომ გაიფანტა, შეუტიეს ქართველებმა და გაჩაღდა ფიცხელი ბრძოლა. თოთხმეტი ათასი ყიზილბაში გაწყდა, ცხრა ათასი ქართლელი და კახელი, ზურაბ ერისთავისა კი – ცხრაასი. ზურაბ ერისთავი შუბლში

იყო დაჭრილი, თოფი ჰქონდა მოხვედრილი, გული მისდიოდა.

ამასობაში შაბადა-ხანი თავისი ჯარით მოადგა ნაომარ ადგილს. დაინახა, რომ ცოტა ხალხი იყო ერთ ადგილზე შეკრებილი. იცნო შაბადა-ხანმა, რომ ქართველები იდგნენ. შემოუტია და გაჩაღდა პირვანდელზე უფრო ძლიერი ბრძოლა. იმ დღისით მეფემ დაამტვრია ყველა საბრძოლო იარაღი და აღარაფერი შემორჩა. შემდეგ ძლიერ იბრძოლა თეიმურაზ მუხრანბატონმა, ქაიხოსროს ძმამ და ისიც იქ მოკლეს და ხმამაღლა დაიძახეს, თეიმურაზი მოკლესო. ეს რომ გაიგეს ქართველებმა, იფიქრეს, მეფე თეიმურაზი მოკლესო. მაშინლა გაიქცნენ ქართველები.

### **კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე.**

გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#)

(„ქართლის ცხოვრების“ ადაპტირებული ვერსიის მიხედვით. გამომცემლობა „ახალი ივერონი“. ტ. 3. თბილისი 2012 წ.)

## კითხვები:

- (1) **25.1.** რას ვუწოდებთ სახელმწიფოს, რომლის მმართველიც იყო წყაროში ნახსენები ყაენი?
- (1) **25.2.** თქვენი აზრით, მოურავისა და ზურაბ ერისთავის აჯანყება რატომ ნიშნავდა მათ მიერ შვილისა და ცოლის გაწირვას?
- (1) **25.3.** წყაროში არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე, რატომ დაადგინეს ქართლის გამგებლად ქაიხოსრო მუხრანბატონი?
- (1) **25.4.** რომელი სახელმწიფოს მკვიდრნი იგულისხმებიან წყაროში ნახსენებ ურუმებში?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-3 გვერდზე](#)

(1) **25.5.** თქვენი აზრით, რატომ მიიღო ბრძოლაში მონაწილეობა მანუჩარ ათაბაგმა?

(1) **25.6.** რას ვუწოდებთ იმ პოლიტიკურ ერთეულს, რომლის მმართველებიც იყვნენ მანუჩარის წინაპრები?

(1) **25.7.** დაასახელეთ წყაროში არსებული ფაქტი, რომელიც მიუთითებს, რომ ზურაბ ერისთავი უშუალოდ იღებდა მონაწილეობას ყიზილბაშთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

(2) **25.8.** თქვენი აზრით, რატომ ბრძანა ყაენმა მოურავის მოკვლა და თანაც ღალატით?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-3 გვერდზე](#)

(2) **25.9.** წყაროს მიხედვით, რა კონკრეტული დავალებით გამოგზავნა ყაენმა თავდაპირველად ჯარი საქართველოში?

(2) **25.10.** წყაროს მიხედვით, ვინ მოიწვიეს კახეთის მეფედ? მოიყვანეთ ერთი არგუმენტი, რის გამოც სწორედ ეს პიროვნება შეარჩიეს.

(2) **25.11.** წყაროს მიხედვით, ყიზილბაშთა დამარცხების შემდეგ, ვინ იყო ყველაზე გავლენიანი პირი ქართლში და წყაროში არსებული რა ინფორმაცია ადასტურებს ამას?

(2) **25.12.** წყაროში არსებული ინფორმაციის საფუძველზე დაასახელეთ ორი მიზეზი, რამაც განაპირობა ქართველთა მარცხი მტერთან ბრძოლაში.

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-3 გვერდზე](#)

სულ 60 ქულა

1-18 - თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება

- |      |       |
|------|-------|
| 1. გ | 9. ა  |
| 2. დ | 10. ა |
| 3. ბ | 11. დ |
| 4. დ | 12. ბ |
| 5. გ | 13. ბ |
| 6. ბ | 14. ბ |
| 7. ა | 15. ა |
| 8. ა |       |
16. 3 1 2  
17. 2 3 1  
18. 3 1 2

19. სულ 4 ქულა

19.1. ვენის - 1 ქულა

19.2. დასავლეთი - 1 ქულა

19.3. ლაშქრის ერთ ნაწილს ალყის გაგრძელება უბრძანა და მეორე ნაწილით მოსულებს შეებრძოლა - 1 ქულა

19.4. პოლონურ-გერმანულმა კავალერიამ გაარღვია მოწინააღმდეგის რიგები - 1 ქულა

20. სულ 4 ქულა

20.1. აშშ-ში - 1 ქულა; ილუსტრაციაზე გამოსახულია პრეზიდენტი ლინკოლნი// აშშ-ს დროშა// ლოზუნგების შინაარსიდან გამომდინარე - 1 ქულა; სულ 2 ქულა

*თუ 20.1. დავალების პირველ ნაწილში დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომა და შეფასება 0 ქულაა, მაშინ დასაბუთებაც 0 ქულაა.*

20.2. სამოქალაქო ომი – 1 ქულა; ილუსტრაციაზე გამოსახულია სამხედრო დაპირისპირება და აფროამერიკელთა მონობის დასრულება - 1 ქულა; სულ 2 ქულა

*თუ 20.2. დავალების პირველ ნაწილში დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომა და შეფასება 0 ქულაა, მაშინ დასაბუთებაც 0 ქულაა.*

## **21. სულ 11 ქულა**

21.1. XIII საუკუნის – 1 ქულა

21.2. IV ჯვაროსნული ლაშქრობა - 1 ქულა

21.3. სერბეთი, ბულგარეთი - 1 ქულა

21.4 ანისი საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებშია - 1 ქულა

21.5. აიუბიდების - 1 ქულა

21.6. ვენეციიდან - 1 ქულა; ზადარი - 1 ქულა; სულ 2 ქულა

21.7. საქართველოსა და რუმს შორის - 1 ქულა; ბასიანის - 1 ქულა; სულა 2 ქულა

21.8. იერუსალიმი, ტრიპოლი, ანტიოქია - 2 ქულა

სამი (3) პოლიტიკური ერთეულის სწორად დასახელება - 2 ქულა, ორის (2) - 1 ქულა.

## **22. სულ 2 ქულა**

პაპის მოწოდების მომხრე - ლოგიკური, მკაფიოდ ჩამოყალიბებული არგუმენტი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას - 1 ქულა

პაპის მოწოდების მოწინააღმდეგე - ლოგიკური, მკაფიოდ ჩამოყალიბებული არგუმენტი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას - 1 ქულა

## **23. სულ 2 ქულა**

ერეკლე II-ის მიერ სულთანთან ურთიერთობის აღდგენის მომხრე - ლოგიკური, მკაფიოდ ჩამოყალიბებული არგუმენტი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას - 1 ქულა

ერეკლე II-ის მიერ სულთანთან ურთიერთობის აღდგენის მოწინააღმდეგე - ლოგიკური, მკაფიოდ ჩამოყალიბებული არგუმენტი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას - 1 ქულა

## **24. სულ 2 ქულა**

24.1. ლოგიკური შედეგის დასახელება, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას – 1 ქულა

24.2. ლოგიკური პასუხი და შესაბამისი არგუმენტი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას - 1 ქულა

## 25. სულ 17 ქულა

25.1	ირანს//ყიზილბაშთა//სეფიანთა სახელმწიფოს - 1 ქულა
25.2	მათ დასჯიდნენ//შაჰი შურს იძიებდა - 1 ქულა
25.3	რადგან დავით მეფის შთამომავალი იყო - 1 ქულა
25.4	ოსმალეთის - 1 ქულა
25.5	ლოგიკური პასუხი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას - 1 ქულა
25.6	სამცხე-საათაბაგოს - 1 ქულა
25.7	„შუბლში იყო დაჭრილი, თოფი ჰქონდა მოხვედრილი, გული მისდიოდა“ - 1 ქულა
25.8	ლოგიკური პასუხი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას - 1 ქულა ლოგიკური პასუხი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას - 1 ქულა; სულ 2 ქულა
25.9	კახელების დახოცვა - 1 ქ ქართლელების აყრა - 1 ქულა; სულ 2 ქულა
25.10	თეიმურაზ I – 1 ქულა ლოგიკური არგუმენტი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას - 1 ქულა; სულ 2 ქულა
25.11	მოურავი // სააკაძე - 1 ქულა ზურაბ ერისთავი და ქართლის წარჩინებულნი, თავს დებდნენ მოურავისთვის და ყმებივით ემონებოდნენ - 1 ქულა; სულ 2 ქულა
25.12	ხმა გავრცელდა მეფის დაღუპვის შესახებ - 1 ქულა ირანელთა დამატებითი ჯარის მოსვლა - 1 ქულა; სულ 2 ქულა